ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 123

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იანა ღუდუშაურისთვის (პ/ნ: 01006006650) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იანა ღუდუშაურისთვის (პ/ნ: 01006006650) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 24 აპრილის №19.474.603 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იანა ღუდუშაურისთვის (პ/ნ: 01006006650) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3800 (სამი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე